ხაშურის მოამბე

№19 (441) 20 მაისი, ორშაბათი, 2024 წელი

სამუშაო შეხვედრა საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებით

საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ოპტიკური ქსელის მშენებლობის მიზნით, საპროექტო სამუშაოები დაიწყო ზესტაფონი-ხარაგაულის მიმართულებაზე, რომელიც მოიცავს: ხარაგაულის, საჩხერის, თერჯოლის, ზესტაფონისა და ხაშურის იმ სოფლებს, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 200 და მეტია.

აღნიშნულ მიმართულებაზე საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს განახორციელებს მსოფლიო ბანკის შესყიდვის პროცედურებით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „TRANS ENGINEERING GROUP“- ი

მიმდინარე პროექტთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში, „ოუფენ ნეტის“, ქსელის მშენებელი კომპანიის, ასევე ხაშურის მერის პირველი მოადგილის ზვიად ქურდაძის და სამიზნე სოფლების მერის წარმომადგენლების ჩართულობით, სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, სადაც განხილული იყო ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მხარეების ჩართულობით, ოპტიკური ქსელის მშენებლობის შეუფერხებლად განხორციელებას უზრუნველყოფს.

ზესტაფონი-ხარაგაულის მიმართულება მოიცავს 260 კმ ინფრასტრუქტურას და 15 000 ზე მეტი მოსახლისთვის ქმნის ხარისხიან ინტერნეტთან, ტელევიზიასთან და სხვა ციფრულ სერვისებთან წვდომის შესაძლებლობებს.

(დასასრული V გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტიდან პროგრამის სამიზნე არეალებია: ბრილი, დიდი ფლევი, ნაცაგორა, სავანისუბანი, ტაშისკარი, ტეზერი, ტკოცა, ქემფერი და ცოცხნარა.

ზესტაფონი - ხარაგაულის მიმართულებაზე ქსელის მშენებლობის დასრულების ვადა 2025 წლის I კვარტალია, ხოლო პროგრამა, საქართველოს

სოფელ ალში სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების კენჭისყრის შედეგები ცნობილია

ელექტრონული კენჭისყრის შედეგები გასულ კვირას გახდა ცნობილი.

მოქალაქეთა გადაწყვეტილებით შერჩეული პროექტი დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

ალში წარდგენილ პროექტებზე ხმის მიცემა შეეძლოთ მხოლოდ ალში რეგისტრირებულ მოქალაქეებს.

გაგაცნობთ კენჭისყრის შედეგებს:

ხმათა უმრავლესობა - 290 ხმა (საერთო ხმების 68%) მიიღო პროექტმა „შიდასაუბნო გზის მოასფალტება გოგლიენთ უბანში“. შესაბამისად, პროექტი დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

კენჭისყრაზე წარდგენილი იყო კიდევ ორი პროექტი - “საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია და გათბობის სისტემის მოწყობა”, რომელმაც 56 ხმა (ხმათა 13%) მიიღო. პროექტმა „სკოლასთან მისასვლელი შიდა გზის მოწყობა“ კი მიიღო 83 ხმა, რაც საერთო ხმების 19%-ა.

კენჭისყრაში მონაწილეთა 60% მამაკაცები, ხოლო 40% ქალები იყვნენ.

პროექტი სლოგანით „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ ხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზანია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტი მადლობას უხდის ყველა მოქალაქეს, ვინც სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროექტის მიმდინარეობაში აქტიურად ჩაერთო. განსაკუთრებული მადლობა საპროექტო იდეების ავტორებს. იმედი გვაქვს, ისინი სამომავლოდაც აქტიურად ჩაერთობიან სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტში და წარმატებას მიაღწევენ.

მადლობა ყველა მოქალაქეს, ვინც კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო. თქვენი მხარდაჭერის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტისა და მოქალაქეთა თანამშრომლობას.

პროექტი ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით პროგრამის “კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში ფარგლებში.

ევროპის დღეების პროგრამაში ხაშურელი მოსწავლეებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე ევროპის დღეების ფარგლებში ღონისძიებას შეუერთდნენ და მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს.

ღონისძიება გახსნა ხაშურის მესამე საჯარო სკოლის დირექტორმა თამარ გაგლოშვილმა. დარბაზში წარმოდგენილი იყო ევროპის თემაზე მომზადებული გამოფენა. სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია ევროკავშირის ისტორიისა და ღირებულებების შესახებ, წაიკითხეს მოსწავლეთა ესეების კონკურსის „ევროპა სწორი მიმართულებაა“ გამარჯვებული ნაშრომი. ერასმუს+-ის კონკურსის გამარჯვებულმა ახალგაზრდებმა დამსწრეებს გაუზიარეს ევროპაში სწავლის გამოცდილება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) წარმომადგენლები, რომლებმაც წარადგინეს პრეზენტაცია მისიის როლისა და საქმიანობის შესახებ და ახალგაზრდებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ პირველ კვარტალში შესრულებული საქმიანობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად გატარებულია რიგი ღონისძიებები და პროცედურები.

2024 წლის პირველ კვარტალში - წიაღის ეროვნული სააგენტოდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე შემოსულია 17 მომართვა, თანხმობა-11, უარი-1, 5 მომართვა მოკვლევაშია.

მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში შეყვანილია - 22 ბენეფიციარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით, კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არა იზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად მომზადდა თანხმობის 1 პროექტი. 1 პროექტს ეთქვა უარი.

ყოველი წლის არა უგვიანეს თებერვლამდე საკრებულოს სხდომაზე ვიღებთ ახალ დადგენილებას „ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2024 წლის პირველ კვარტალში -ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ- მოძრავი ქონება სარგებლობაში, საკუთრებაში და იჯარის ფორმით გადაეცა შემდეგ ა(ა)იპ-ს და სსიპ-ებს:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა სურამში მდებარე 12575კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (69.04.59.034) 32 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში მისი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

2. სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო“-ს გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა სურამში მდებარე (ს/კ 69.04.59.785) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, უსასყიდლო უზუფრუქტით, სარგებლობის უფლებით, ახალი ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების განთავსებისთვის.

3. ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის გადაეცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონება (ს.კ 69.08.67.985) უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით 2 წლის ვადით.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა შემდეგი უძრავი ქონება:

1. ს/კ 69.08.60.743 - ხაშურში, ბორჯომის ქუჩის მიმდებარედ, სპორტული და დასასვენებელი სივრცის მოწყობის მიზნით.

2. ს/კ 69.08.58.477- ხაშურში, 9 აპრილის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება.

განახლების პროცესშია საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხა და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტი, რომელთა გაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განხორციელდება ელექტრონული აუქციონის წესით. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სულ შეტანილია 15 ობიექტი, ასევე დაინტერესებული პირების მომართვის საფუძველზე მიმდინარეობს საპრივატიზებოდ მიმზიდველი უძრავი ქონების შერჩევა-შეფასების პროცესი.

დაწყებულია საქმისწარმოება:

„სსიპ- ვაჟა-ფშაველას სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოცხნარის საჯარო სკოლისთვის“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 5 წლის ვადით გადაცემის თაობაზე.

„სსიპ- სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსთვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების, სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით გადაცემის შესახებ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ გომში, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ქონებიდან (საკადასტრო კოდი: 69.02.65.022.059) ნაწილი 64,4 კვ.მ ფართის იჯარის ფორმით გადაცემა, 2 წლის ვადით, ელექტრონული აუქციონის წესით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ ეტაპობრივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია.

სერგო ლალიაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარების სამსახურის
ხელმძღვანელი

მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ზედამხედველობის სამსახური ფუნქციონირებს: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს; „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს; „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსი“-ს; „საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს; ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის, „პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ N44 დადგენილებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

გაიცა 25 მითითება და შედგენილია 30 შემოწმების აქტი;

სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტებზე:

ა) სანებართვო პირობების დარღვევისათვის გამოიცა 10 დადგენილება;

ბ) უნებართვო მშენებლობისათვის გამოიცა 11 დადგენილება;

გ) საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ გამოიცა 4 დადგენილება;

ექსპლუატაციაში მიღებული იქნა 57 ობიექტი;

სულ: 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სამშენებლო სამართალდარღვევებიდან, ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით, გადახდილია 13 900 ლარი.

ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები ასევე არიან მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოს ინსპექტირების მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრები და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურთან კოორდინაციაში აწარმოებენ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირებას და შემდგომში მათ მიღება ჩაბარებას.

ზედამხედველობის სამსახური სამშენებლო კანონმდებლობის საფუძველზე, ახორციელებს გაცემული სამშენებლო ნებართვების კონტროლს.

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექს“-ში, განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის პირველი იანვრიდან გაცემულ მშენებლობის ნებართვაზე, მეორე , მესამე და მეოთხე კლასის მშენებლობაზე, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა, სავალდებულო გახდა ეტაპის ოქმების წარმოდგენა, რის საფუძველზეც ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები ახორციელებენ მიმდინარე მშენებლობებზე დასრულებული ეტაპების შესრულების კონტროლს.

ასევე, პერიოდულად ხორციელდება ყოველდღიური ინსპექტირება ქალაქ ხაშურსა და მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე, რათა მოხდეს სამართალდარღვევათა დროული პრევენცია და აღმოფხვრა.

2023 წლის 27 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და იურიდიული სამსახურის მიერ შემუშავებული „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურისათვის ამ სამართლებრივი აქტის კონტროლის განხორციელების წესი“ ;

აგრეთვე, 2023 წლის 01 ივნისს, მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოსცა დადგენილება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-თ, საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის შესახებ.

ზედამხედველობის სამსახური ასევე ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრების ბეჭდვას, არსებული ბაზის განახლებას და მასში კორექტირების შეტანას.

2023 წლის დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 168 772 ლარი.

შოთა კუჭაიძე,
ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის
ფუნქციების განმახორციელებელი პირი

100 წელი 1924 წლის აჯანყებიდან

წინასიტყვაობის მაგიერ

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიაში 1924 წლის აგვისტო განსაკუთრებული მოვლენაა, რომელიც დიდხანს რჩებოდა ახლო წარსულის თეთრ ლაქად და მას, ათეული წლების მანძილზე, ტაბუ ჰქონდა დადებული. ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ცალმხრივად შუქდებოდა და მხოლო და მხოლოდ მენშევიკების ავანტურად იყო მიჩნეული.

1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს დამოუკიდებელმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის შედეგად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და სულ მალე ერთიან საბჭოთა ,,ძმურ ოჯახშიც“ აღმოჩნდა.

ქართველი ხალხი ამჯერად საბჭოთა რუსეთისაგან თავსმოხვეულ ,,თავისუფლებას“ არ შერიგებია და არც ბრძოლა შეუწყვეტია დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის. ამ გზაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას სწორედ 1924 წლის აგვისტოს სახალხო აჯანყება წარმოადგენდა.

- დახვრიტეთ!
- მოვითხოვთ, დასჯილ იქნან უმაღლესი სასჯელით, - დახვრეტით!
- დაისაჯონ უსასტიკესი სასჯელით, - დახვრეტით!
- ჩვენ, დაჟინებით მოვითხოვთ მთავრობისაგან, დასჯილ იქნან სასტიკად, ე.ი. დახვრეტით!
- დახვრიტეთ!
- დახვრიტეთ!
- დახვრიტეთ!..

მხოლოდ ეს სიტყვები სჭარბობს საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან თბილისში მთავრობის სახელზე გაგზავნილ მოთხოვნებში, არც მეტი და არც ნაკლები. უცბად, სულ რაღაც რამდენიმე დღეში, საოცრად საშინელმა ფსიქოზმა დაისადგურა ქვეყანაში.

დახვრიტეთ!

საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლებაც საოცარი აქტივობით გამოხატავდა ,,ხალხის ნებას“.

იხვრიტებოდა ქართული ინტელიგენციის, თავად-აზნაურობის, სამღვდელოების, მუშათა და გლეხთა საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთა ერთადერთი დანაშაული მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო.

დ ა ხ ვ რ ი ტ ე თ !

საქართველო სისხლისგან იცლებოდა ხალხის ,,მოთხოვნით“. ასეთი იყო მისი ,,უდიდებულესობა“ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ,,ნება“. ,,სხვაგვარად მოაზროვნეთა“ განადგურების ეს ხელწერა - ,,ხალხის ნებით“ რევოლუციისა და საბჭოთა აღმშენებლობის ვითომცდა მტრების დასჯა, - შემდგომშიც დიდხანს შემორჩება ჩვენს ქვეყანაში. ხალხის წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ მიმართული რეპრესიები კვლავ ხალხისავე ,,ნებითა და მოთხოვნით“ განხორციელდება...

1921 წლის შემდეგ და 1924 წლამდე

1921 წლის მარტის დასაწყისში საბჭოთა რუსეთსა და დემოკრატიულ საქართველოს შორის უკანასკნელი ბრძოლები ხაშურის მისადგომებთან გაიმართა. ეს ბრძოლა ქართულ ისტორიოგრაფიაში ოსიაურის ბრძოლის სახელწოდებით არის ცნობილი. საბრძოლო არეალი გადათეთრებულიყო... სისხლსა და ტალახს ჯერ არ შეებღალა თოვლის ქათქათა ზედაპირი. რკინიგზის ლიანდაგებიდან მოყოლებული მტკვრის სანახებამდე საოცარი სიჩუმე ჩამოწოლიყო...

საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს თითქოს ყველაფერი გათვლილი ჰქონდა, თავდაპირველად შედეგიც სახეზე იყო, მაგრამ ღალატმა და თვითნებობამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მთავარსარდალი იძულებული გახდა უკან დახევის ბრძანება გაეცა... საჯარისო ნაწილები სურამის გვირაბითა და წიფის გადასასვლელით იხევდნენ უკან... ჟლობას კავალერია მოსახლეობისგან დაცარიელებულ ხაშურს უახლოვდებოდა. ხაშურლები ახლო-მახლო, ზოგიც ხარაგაულის სოფლებში გახიზნულიყვნენ. რა თქმა უნდა, იყო მოსახლეობის ბოლშევიკურად მოაზროვნე ნაწილი, რომელიც გარკვეულ სამზადისშიც იყვნენ წითელი არმიის ნაწილებთან შესახვედრად. ერთი ნაწილი წითელი არმიის რიგებშიც იყო. მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ ცვლიდა, ხაშური დაცარიელებული ხვდებოდა ახალ ხელისუფლებას.

მერე თანდათან დაუბრუნდა მოსახლეობა ხაშურს, ახალმა ხელისუფლებამაც შეძლო თანდათან მოეპოვებია მათში ნდობა. ეს პირველ ხანებში, მერე კი ხელისუფლების მიმართ მოსახლეობაში უფრო შიშის გრძნობამ იმძლავრა... მანამდე კი ხაშურში, ისევე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში, იმართება ახალი ხელისუფლების მხარდასაჭერი მიტინგები და დემონსტრაციები, მისი მონაწილეები ღებულობდენ რეზოლუციებს, აგზავნიდნენ მისალოც წერილებს რუსეთისა თუ საქართველოს საბჭოთა მთავრობების სახელზე. ხაშურში და მის რაიონში ახალი, მანამდე უცნობი ცხოვრება იწყებოდა, რომელიც ჩვენს ისტორიაში საბჭოთა პერიოდის სახელითაა ცნობილი.

* * *

1921 წლის 25 თებერვლის მოვლენებს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ქართველი ხალხი დიდი სიხარულით არ შეხვედრია. ამას თვით ბოლშევიკებიც არ უარყოფდნენ და არაერთხელ აღუნიშნავთ კიდეც.

თითქმის სამი წლის შემდეგ, 1924 წლის მაისში, საქართველოს კპ მესამე ყრილობაზე ბ. ლომინაძე ცენტრალური კომიტეტის სახელით გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავდა: ,,ჩვენი რევოლუცია პირველ ხანებში სასტიკ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა ფართე მასების პატრიოტიზმთან. თითოეული წვრილ-ბურჟუაზიული პატრიოტი წითელ არმიას, რასაკვირველია, აფასებდა, როგორც უცხო საოკუპაციო ძალას. საბჭოთა ხელისუფლება სასტიკ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა დემოკრატიული მასების ნაციონალურ გრძნობებთან.

და მხოლოდ პროლეტარიატის შეგნებული ავანგარდი, მხოლოდ კომუნისტური პარტია თვლიდა, რომ რევოლუციის ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნაციონალური ინტერესები. ყველა დანარჩენები კი, თვით მუშათა მასებიც (მიაქციეთ ყურადღება - თ.ლ.) ნაციონალურ მომენტში ჩვენთან უთანხმოებისა და წითელი არმიის მოსვლის გამო მტრულად იყვნენ განწყობილნი ჩვენდამი“.

ამ სტრიქონების შემდეგ, ვფიქრობთ, კომენტარები ზედმეტი იქნება. საქართველოს კპ მაშინდელი ერთ-ერთი ხელმძღვანელი სავსებით რეალურად გადმოსცემს, თუ როგორ შეხვდა ქართველი ხალხი 25 თებერვალს, მათ შორის, საქართველოს მუშათა კლასიც, რომელიც, თუ მარქსიზმს დავუჯერებთ, სოციალისტური რევოლუციის წარმმართველი და მამოძრავებელი ძალა უნდა ყოფილიყო საქართველოში. მაგრამ რას ვიზამთ, ის რაც მუშათა კლასს უნდა გაეკეთებინა, საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ გააკეთა გარედან ჩარევით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო ანტისაბჭოთა პარტიების, სამღვდელოებისა და სხვათა მხრიდან მტრის ხატის მიზანმიმართული შექმნა. თანდათან ხელისუფლებამ ხელი მიჰყო მათ დევნა-შევიწროებას. იგი დიდ მუშაობას ეწეოდა მოსახლეობის ფართო ფენების რეპრესიებისათვის იდეოლოგიურად შემზადებისათვის. 1 9 2 1 წლის 21 აპრილს გაზეთ ,,კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ხაშურში მენშევიკების ირგვლივ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ნათქვამია: ,,ჩვენი ორგანიზაციის (ე.ი. ბოლშევიკების - თ.ლ.) გაძლიერებას აქაური მენშევიკები ძლიერ ეჭვის თვალით უცქერიან, მაგრამ ასეთები ძლიერ ცოტანი არიან და თუ არიან მას მშრომელი მასის უმრავლესობა ზიზღის თვალით შეჰყურებს“.

საზოგადოების ერთი ნაწილი აქტიურად ჩადგა ახალი ხელისუფლების სამსახურში, ნაწილი კი ეჭვის თვალით უყურებდა ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. ისინი ვინც ახალ ხელისუფლებას უთანაგრძნობდნენ, არ ერიდებოდნენ დასმენებს, ხელიდან არ უშვებდნენ შესაძლებლობას, რომ ადგილობრივ მთავრობამდე მიეტანათ საზოგადოების იმ ნაწილის განწყობა, რომლებიც თუნდაც სიტყვით უპირისპირდებოდნენ და უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. არქივებში ასეთი შინაარსის არაერთი დოკუმენტია დაცული. აი ერთ-ერთი: ,,ქალაქ ხაშურის რაიონის ადმინისტარციულ განყოფილებას

ვასილი დეკანოიძისაგან განცხადება

მე მოვდიოდი ქალაქ თბილისიდგან 28 აპრილს 1921 წელსა დაჩნის მატარებლით. შევხვდი მატარებელში შემდეგს: ჩემს კუპეში, რომელშიდაც მე ვიჯექი სხვათაშორის ისხდნენ უცხო პირებიც, რომლებსაც მე ვერ ვიცნობდი. იქ ორმა უცნობებმა დაიწყეს ლაპარაკი სურსათის შესახებ და ლაპარაკობდნენ მენშევიკების ხელში რომ ვიყავით პურიც და ტანსაცმლით დაკმაყოფილებულები და ეხლა კი ბალშევიკების ხელში შიმშილით იხოცებიანო. მე გულმა აღარ მომითმინა და მივმართე, შენ, ამხანაგო, სად მსახურობდი მეთქი. მათ მიპასუხეს, გვარდიაშიო. მე მაშინ, რა თქმა უნდა, დავუწყე ლაპარაკი, რომ გვარდიელებს მიტომ აკმაყოფილებდნენ მენშევიკების მთავრობა, რომ გვარდია ჰყამდათ ერთათ ერთი დამცველი თავიანთ საზიზღარი მოქმედებისა და გვარდიის საშუალებით ამაღლებდნენ ბურჟუაზიულ წესწყობილებას მეთქი. მე რომ ის გვარდიელები ჩავაჩუმე, ერთ უცნობს რომელიც უკან კუპეში იჯდა, გულმა აღარ მოუთმინა და წამოიყოჩა ჩემსკენ, რომელმაც დამიწყო ბაასი და მითხრა, თქვენ რომ პირდებოდით მუშებს და გლეხებს თეთრ პურს გაჭმევთო, რატომ არ გამოგიგზავნათ რუსებმაო. ამას ლაპარაკობდა ხალხის საყურადღებოდ, რასაც ეხლა სჭამთ, ისიც მენშევიკების დატოვილია და როცა ეგეც გამოგელევათ, მაშინ ნახამთ რასაც სჭამთო. მე, რა თქმა უნდა, შესაფერისი პასუხი მივეცი. მაშინ კიდევ მითხრა, ეხლა რომ მუშათა და გლეხთა საბჭოები უნდა ამოირჩიოთო და მაშინ ნახამთ, თუ ვის ამოირჩემთ და ან ვინ გავა საბჭოებშიო. ამას იმ კილოზე ლაპარაკობდა, რომ მე ეჭვი შემეპარა იმაზედ, რომ ის უნდა იყოს მენშევიკების დატოვებული ორგანიზატორი და იმედიც მიტომ აქვს, რომ ვითომ თავიანთი მეცადინეობით ჩვენს დამარცხებას ლამობდა. ამ ლაპარაკის დროს, რომლის პრავაკაციამაც ხალხის ყურადღება მიიქცია, ერთმა მოხუცებულმა წამოიძახა, აბა შენ აშენებ საქართველოსაო, თქვენისთანა ხალხმა დაგვღუპა მთელი გლეხობაო, მე იმასაც შესაფერისი პასუხი მივეცი. ბოლოს როდესაც დავმშვიდდით, მე ვეცადე, გამეგო იმ ახალგაზრდას ვინაობა თუ ვინ იყო ის და სიდაური, მე მინდოდა, ვაგონშივე დამეპატიმრებინა მაგრამ არ მოხერხდა ვინაიდგან ხალხით ვაგონი გაჭედილი იყო. მე მაინც გავიგე ვინაობა მისი, როდესაც ის ჩემი მეტოქე სადგურ გომში გადავიდა. მას გადაჰყვნენ ხუთიც სხვები, რომლებიც მას ემხრობოდნენ იმ ლაპარაკის დროს. მაშინ ვიკითხე და მითხრეს, რომ ის იყო სოფელ ახალსოფლიდგან მაცხოვრებელი და თითონ კი თბილისში მოსამსახურე და მის მომხრები კი მასთან მიმავლები ყოფილან. სტუმრები იყვნენ, თუ იმათი ოჯახის წევრები, არ ვიცი. ის მოხუცებული კაცი რომელიც ზევით აგიწერეთ, აღმოჩნდა მამამისი, რომლებმაც ასეთი პროვოკაციით მთელი ხალხი ააჯანყა. ვიკითხე გვარი და სახელი, თუ რა გვარი იყო ის და მითხრეს ნიკალა გურასპაშვილი არისო.

ის ზემოხსენებული ორი გვარდიელი კი არ ვიცი, რომელ სადგურზე გადავიდნენ და არც მათი გვარები ვიცი, ამასაც დაუმატეთ, მანამ სადგურ გომში მივიდოდით, მათთან იჯდა იმავე ვაგონის კონდუქტორი, რომელსაც მიმართეს ხალხმა სანთლის ანთება, რადგანაც დაბნელებული იყო და მან უპასუხა თქვენი საქმე არ არის ავანთეფ თუ არაო. მერე მეც მივმართე და მან მე სულ სხვანაირი პასუხი მომცა, მე შენთან ლაპარაკი არ მსურსო. მე უთხარი ამხანაგო მე კი არ გეკამათები, სანთლის ანთებას გთხომ მეთქი, მაშინ წამოდგა კიდე ბატონი ნიკალა გურასპაშვილი და დაცინვის კილოთი ხალხის საყურადღებოთ მითხრა, კარქი, რაღა სულ შენ ლაპარაკოფო. ვიცით, რომ კომუნისტი ხარო და იმის დაცინვით სიტყვა იმათთან, ვინც მოდიოდნენ და გურასპაშვილს მხარს უჭერდნენ, დაიწყეს ხარხარი. ბოლოს ისინი გადავიდნენ სადგურ გომში, მე მინდოდა, გადავსულიყავი და ისინი, რომლებიც ხუთ კაცამდის მიყამდა თავისთან ნიკალა გურასპაშვილს, დამეპატიმრებინა. მაგრამ გადასვლა უხერხულად იყო ჩემთვის, ასეთი იმის პრავაკაცია ყოვლათ დაუშვებელია და ამისათვის გთხომთ, მიიღოთ სასწრაფოთ ზომები და დააპატიმროთ ის. და შეუდგინეთ ოქმი ამ ჩემი განცხადების თანახმად და გადააგზავნეთ, სადაც ეკუთვნის მას”.

ხაშურის სამმართველოს განყოფილების გამგემაც არ დააყოვნა და იმავე განცხადების უკანა გვერდს ხელით სასწრაფოდ მიაწერა ოქმი: ,,მე ადგილობრივი რემკომის სამმართველოს განყოფილების გამგემ ვიხელმძღვანელე ყოველივე ამ ზემო ნაჩვენები განცხადებით და მივიღე ყოველივე ზომები ნახსენებ ზემო ბრალდებულზე, ნიკალა გურასპაშვილზე...“ (სტილი დაცულია).

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ამერიკული გამოცდილება -

მორის დანდურიშვილი: მოსწავლეთა თავისუფლება კი არ უნდა შეზღუდო, არამედ მათ ავტონომიას უნდა მისცე მიმართულება

საერთაშორისო ვიზიტორთა ლიდერობის პროგრამას, განათლების სფეროში სერვისის სწავლებისა და კარიერული კონსულტაციის ხელშეწყობის პროექტის (International Visitor Leadership Program (IVLP). ახორციელებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. პროგრამის მეშვეობით ქვეყნის სხვადასხვა სფეროს ლიდერები, ხელმძღვანელი პირები ეცნობიან ამერიკულ კულტურას, სხვადასხვა სფეროში

არსებულ მიღწევებს და გამოწვევებს. სულ რამდენიმე ხნის უკან ლიდერობის საერთაშორისო პროგრამის მონაწილე გახლდათ ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი. მასთან ერთად პროგრამის მონაწილეებად შეირჩნენ კახეთის, ქვემო ქართლის, გურიის და იმერეთის რეგიონების საჯარო სკოლების დირექტორები. პროგრამის 5 მონაწილე, საგანმანათლებლო ლიდერი, სამი კვირის განმავლობაში, მოგზაურობდა, ეცნობოდა და იზიარებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში: ვაშინგტონში, დალასში, ჩიკაგოში, ილინოისში, მიჩიგანში, აიოვასა და ალაბამაში არსებულ განათლების სფეროს გამოცდილებას. მათი პირველი აქტივობა ვაშინგტონში განათლების მიმართულებით მოღვაწე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან დაიგეგმა. შეხვედრები გაიმართა განათლების დეპარტამენში, რესურსცენტრში, კაპიტოლიუმში, კონგრესის ბიბლიოთეკაში... სივრცეებში, რომლითაც ამაყობს ამერიკის შეერთებული შტატები. ვაშინგტონში განთლების სფეროს ქართველ ლიდერთა შეხვედრები ითვალისწინებდა თეორიული ცოდნის გაცნობას ამერიკული განათლების სისტემის, რესურსცენტრის, პროფესიული მოწყობის, საგანმანათლებლო ლიდერთა, მასწავლებელთა გაძლიერების მიმართულებით. ყველა სხვა შტატში კი ქართველი დირექტორები თეორიული ცოდნის პრაქტიკული განხორციელების გზებს იზიარებდნენ. ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი ამერიკული მოგზაურობის გამოცდილებას, შთაბეჭდილებებს, მოლოდინებსა და გეგმებს გვიზიარებს.

პასუხისმგებლობა და თავისუფლება

- პირველი შეხვედრა გვქონდა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. ისინი გვიამბობდნენ, რომ ამერიკის კონცეფციის შესამუშავებლად შეკრებილმა დამფუძნებელმა მამებმა, ძალიან ბევრი იმსჯელეს პირველი ყოფილიყო იდეა თუ პრაქტიკული ნაწილი და გადაწყვიტეს, რომ პირველი ყოფილიყო პრაქტიკული ნაწილი... ჩემს შეკითხვაზე, რა იყო ამერიკის სიძლიერის განმაპირობებლი, მიპასუხა, რომ აშშ-ს ძლიერ ეკონომიკას ქმნის თავისუფლება და პასუხისმგებლობა, რომლებსაც ამერიკელები ერთმანეთს არ აშორებენ. თავისუფლება საზიანოა პასუხისმგებლობის გარეშე, პასუხისმგებლობა კი თავისუფლების გარეშე შეუძლებელია.

2. მოხალისეობის მაღალი დონე

- რაც ყველაზე თვალშისაცემია... ძალიან პოპულარულია მოხალისეობა. თითქმის ყველა შტატში შეგვხვდა მასპინძელი ორგანიზაციის „გლობალ თაის“ წარმომადგენელი ძალიან ბევრი მოხალისე პენსიონერი, რომლებიც აღარ მუშაობენ და მოხალისეობრივად საქმიანობენ. ცდილობენ, იყვნენ აქტიურები და არ გადავიდნენ პასიურ რეჟიმში. თუმცა, იყვნენ ახალგაზრდა მოხალისეებიც.

3. მატერიალური რესურსები. კეთებით სწავლება

- ჩვენი ვიზიტი მათ შორის, მიზნად ისახავდა გაგვეგო რა არის სერვისული განათლების პრინციპი. საშუალო სკოლაში, თეორიულთან ერთად, არის პრაქტიკული ნაწილიც, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი. აი მაგალითად: მოსწავლეს აღებული აქვს მანქანათმშენებლობის შესწავლის კურსი. მაგრამ იმისათვის, რომ ისწავლოს მანქანის შეკეთება, არ სჭირდება მხოლოდ დაშლა და აწყობა. სჭირდება მათემატიკა, მოდელის დიზაინის შესაქმნელად ფიზიკა, ხელოვნება, ქიმია, პრეზენტაციის უნარი ნაშრომის წარსადგენად. ავტომატურად ეს საგნები „შემოესწავლება“, მაგრამ რეალურად მანქანათმშენებელია. ასე, რომ აქვთ კეთებით სწავლება. საბოლოო მიზანი, პროდუქტის შექმნა, ამერიკელ ბავშვს ეხმარება ირიბად ისწავლოს ყველა ის მეცნიერება, რომელსაც ჩვენ ვასწავლით თეორიულად. ჩვენ ვიყავით სახლის მშენებლობის სწავლების მოწმენი, როდესაც სწავლების პროცესში მოსწავლეებმა ააშენეს სახლი თავშესაფრის მაძიებლებისათვის. ეს არის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება.

შეხვედრები ძირითადად იყო ინტერაქტიული და არა ლექციური. ჩვენი ქართული გამოცდილებიდან დასმული კითხვები, მათთვის უცხო იყო. მაგალითად: არ იცოდნენ, სკოლაში რა ბიუჯეტი ჰქონდათ. ვინაიდან სკოლები არ განკარგავენ თავად ბიუჯეტს, მიმართავენ რესურსცენტრს და ეს უკანასკნელი უგზავნის მათთვის სასურველ რესურსს სკოლას. იქაური სკოლებისათვის მთავარია იზრუნონ განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე.

რამაც მომხიბლა, და რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო - ის, რომ საცხოვრებელი ადგილის პრესტიჟულობას სკოლა და იქ მიმდინარე პროცესების ხარისხი განაპირობებს. თუ სკოლა ხარისხიანია, იმ თემში, იმ უბანში სახლი ძვირადღირებულია, და რატომ? ადამიანები, ვინც იქ სახლდებიან, გადასახადებს იხდიან სკოლისთვის. რაც უფრო მდიდარი ადამიანები სახლდებიან, მით უფრო მეტი შემოსავალი აქვს სკოლას და მით უფრო პრესტიჟული ხდება სკოლა განათლების ხარისხის გამო.

ძალიან პოპულარულია პროფესიული კავშირები. სკოლაში მუშაობს რამდენიმე პროფესიული კავშირი და ცდილობს ყველა საკუთარი ინტერესების დაცვას სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე.

4. განათლებაში ჩადებული ინვესტიცია

- კომპანიები სკოლებში დებენ ინვესტიციას, რომ გაზარდონ სპეციალისტები, რომლებიც მათთან დასაქმდებიან. მაგალითად: „ტოიოტა“ სკოლას უკეთებს მანქანების შემკეთებელ საამქროს იმისათვის, რომ იქ განათლება მიღებული დასაქმდეს „ტოიოტაში“.

5. მოსწავლეთა კონსულტირების ინსტიტუტი

- სკოლას ჰყავს მოსწავლის დამხმარე კონსულტანტები მათ მიერ ნებისმიერი მიმართულებით პრობლემების დასაძლევად. ძალიან მომეწონა ეს ინსტიტუტი.

6. სამხედრო საქმის სწავლება სკოლაში

- ძალიან მომეწონა ასევე სამხედრო საქმის პოპულარიზება სკოლაში. ეს არის ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთების გამღვიძებელი ნებისმიერ ადამიანში. ეს ჩემთვის ძალიან უცხო იყო. ვფიქრობდი რომ ამ ქვეყნისათვის პატრიოტიზმი არ იყო მნიშვნელოვანი. არავითარ შემთხვევაში. ძალიან თვალშისაცემი იყო მათი პროგრამები სამხედრო სწავლების მიმართულებით.

7. სკოლის დათვალიერების ტური

- თვალშისაცემი იყო, რომ ყველა სკოლაში უფროს მასპინძელთან ერთად გვხვდებოდა მოსწავლე, რომელიც გვაცნობდა სკოლას არა მხოლოდ ვიზუალურად, არამედ შინაარსობრივად, რაში მიიღო მონაწილეობა, რა სარგებელი მიიღო, სად რა პრობლემა გადაჭრა... თავად გვიყვებოდა საკუთარი სკოლის შესახებ.

8. ამერიკული კულტურა, სკოლის კონცეფცია

- ოჯახებში გავეცანით ძალიან საინტერესო ამერიკულ კულკტურას. როგორ ცხოვრობენ, რა ტიპის პრობლემები აქვთ, როგორ აგვარებენ. ყველა ამერიკულ სკოლას აქვს თავისი კონცეფცია. რას ნიშნავს ეს? გარდა იმისა, რომ ასწავლის ამა თუ იმ საგანს, მათი კონცეფციის

ნაწილია, მოსწავლე და მისი ოჯახი დააახლოვოს ერთმანეთს. ანუ იმისთვის შრომობს სკოლაში დასაქმებული ყველა ადმიანი, რომ მოსწავლემ საკუთარი ოჯახის წევრებთან თავი იგრძნოს კომფორტულ გარემოში. წარმოგიდგენიათ? სკოლა ზრუნავს, რომ მოსწავლეს და მისი ოჯახის წევრებს ჰქონდეთ კომუნიკაცია. ეს ხომ ერთჯერადი არ არის, მოსწავლე ამ გამომუშავებულ უნარს გამოიყენებს ხვალ, ზეგ, ხანგრძლივ პერსპექტივაში.

გადაწყვეტილებები მიიღება კვლევის შედეგების საფუძველზე. არ არის სპონტანური და ემოციური, კვლევა უნდა უძღოდეს წინ ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას. მნიშვნელოვანია ამავე დროს წარსულც გამოცდილებას. ყველა ცდილობს წარსულ გამოცდილებაზე დააფუძნოს მიღებული გადაწყვეტილება.

(დასასრული V გვერდზე)

მორის დანდურიშვილი: მოსწავლეთა თავისუფლება კი არ უნდა შეზღუდო, არამედ მათ ავტონომიას უნდა მისცე მიმართულება

(დასასრული)

სახელობითი სკოლები

-ამერიკაში სკოლებს არ აქვთ რიგითი ნომრები. ყველა მათგანი სახელობითია. მათ შორის ცოცხალი, საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანების სახელობის. მათი სახელებიც კონცეფციის ნაწილია. მაგალითად: ერთ-ერთი სკოლა ალაბამაში ატარებდა მისი კურსდამთავრებული მოსწავლის, ასტრონავტის სახელს. შესაბამისად, სკოლის კონცეფციის ნაწილი იყო მომავალი ასტრონავტების აღზრდა. გარდა იმისა, რომ სკოლა მათი აღზრდილი ასტრონავტი გოგონას სახელს ატარებს, ასტრონავტებს უყვართ ეს სკოლა და არიან შემწირველები მისი გაძლიერებისათვის.

პროგრამის სარგებელი

-ჩვენ, როგორც პროგრამის კურსდამთავრებულებს, საშუალება გვაქვს განაცხადი შევიტანოით საგრანტო დაფინანსებაზე. მიღებული გამოცდილებიდან შევარჩიოთ ერთი ან რამდენიმე მიმართულება და დავნერგოთ ჩვენს სკოლაში. თუ წარმატებით დავიწყებთ რომელიმე პროგრამის დანერგვას, გვაქვს სკოლის კონსულტანტთა ასოციაციის მხარდაჭერაც, სადაც მიგვიღეს წევრებად, ამისათვის სპეციალურად გავემგზავრეთ ქალაქ ალექსანდრიაში და დაგვპირდნენ დახმარებას პროცესების მართვაში.

მიღებული გამოცდილების გაზიარება

- მიღებულ გამოცდილებას გამოვიყენებ როგორც ლოკალურ (სკოლის) ასევე ეროვნულ (ვინაიდან ვარ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო ავტორიზაციის საბჭოს წევრი) დონეზე. ზოგადი სურათი კი ასეთი წარმომიდგენია: ა) გავაზიარებ მიღებულ გამოცდილებას; ბ) მოვიძიებ პარტნიორ ორგანიზაციებს და მათთან ერთად განვახორციელებ პროექტებს; გ) გავაზიარებ პროექტის განხორციელების შედეგებს მდგრადობისთვის.

ამ ეტაპზე, რაღააცნაირად, მინდა და ვფიქრობ გავაკეთოთ მანქანათმშენებლობის სწავლება. მანქანების აწყობის სწავლება ითვალისწინებს ყველა მეცნიერების შესწავლას. საჭიროებს ნახაზის გაკეთებას, აგებას, პრეზენტირებას. სხვადასხვა უნარების გამომუშავებას. ამასთანავე, ბავშვებისათვის ეს არის სასიამოვნო პროცესი. კეთდება ჯგუფურად და არა ინდივიდუალურად. საბოლოო პროდუქტის შექმნისას იძლევა ირიბ შედეგებს. იმ შედეგებს, რომლისთვისაც ჩვენ ვშრომობთ. რომ ბავშვმა კომუნიკაციის უნარი, არგუმენტებული მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება განივითაროს და ა. შ. ბავშვი აკეთებს მისთვის სასიამოვნოს და ამავე დროს იძენს უნარებს.

არ ვყოფილვართ მხოლოდ პასიური მიმღებლები ინფორმაციის, ჩვენც გავცემდით.

-უამრავი გამოცდილება, რაც ჩვენ გვაქვს, მათ შორის სკოლების დემოკრატიული

მართვის გამოცდილება, მათთვის ძალიან მოსაწონი იყო. მაგალითად, დირექტორის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთობა. ამერიკულ სკოლებში დირექტორი არის ბევრად უფრო ცალკე მდგომი პერსონა, ვიდრე ქართულ სკოლებში. ამ მხრივ გაიზიარეს ჩვენი გამოცდილება, ძალიან მოეწონათ. ფოტოებს იღებდნენ ჩემთან, ჩვენ ცუდი გამოცდილება გვაქვსო. მაგრამ ძალიან დადებითად აფასებდნენ მასწავლებლებს. ასე რომ მარტო არ მიგვიღია, გავეცით კიდეც.

ქართული და ამერიკული სკოლების ჩემი თვალით დანახული საერთო შტრიხები

-მამაკაცი მასწავლებლების ნაკლებობა, მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია სწავლისადმი, განსაკუთრებით მაღალ კლასებში. ის, რომ ყველა სკოლას არ აქვს მდიდარი რესურსი. ძალიან აქტუალური დროის დეფიციტი პედაგოგებში, ამერიკაშიც არიან მასწავლებლები, რომლებიც ორ სკოლაში არიან დასაქმებულები, რომლებიც რეპეტიტორობენ ან კიდევ სხვა დამატებითი საქმე აქვთ.

წინ ვართ...

- წინ ვართ ჩვენს ქვეყანაში არსებული ყველასათვის ხელმისაწვდომი განათლებით. ამერიკაში მუშაობენ, რომ განათლება ყველასათვის იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი. ჩვენ კი ვცდილობთ ხარისხიანი განათლება იყოს ხელმისაწვდომი.

რატომ იყო მნიშვნელოვანი მიღებული გამოცდილება?

-გეტყვით. ზოგადად, სკოლის ხელმძღვანელობისას, სხვა ქვეყნების გამოცდილება თუ წამიკითხავს, თორემ არ მინახავს. ჩემი მუშაობის სტილი, წმინდად შემოქმედებითი პროცესი იყო ჩემთვის. რა თქმა უნდა, პროცესი არ უნდა გაჩერდეს ადამიანში, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია სხვათა გამოცდილი გამოცდილების გაზიარება. ამიტომ მეც ასე ვგეგმავ. რა ტიპის გამოცდილებაც მივიღე, რა ტიპის იდეებიც დამიგროვდა, გავაცნო როგორც სკოლის დონეზე მოსწავლეებს და მასწავლებლებს, ასევე ჩემს სხვა კოლეგებს. ამიტომ ჩემთვის ეს იყო დამატებითი შესაძლებლობა ადამიანებისთვის ვიყო ინფორმაციის წყარო. ვიზიტის შინაარსობრივი ნაწილი იმდენად გაჯდა ჩემში, რომ შემიძლია გავცე კიდეც. ჩემი მოტივაციაა სხვა ადამიანებამდეც მივიდეს ეს გამოცდილება, მათ კიდევ უკეთესი იდეები გაუჩნდეთ, მოარგონ საკუთარი გარემოს საჭიროებას და ადაპტირებული პროგრამა განახორციელონ, რომელიც მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესს მრავალფეროვანს გახდის. ჩვენი ვიზიტის მთავრი მიზანიც ხომ ეს იყო. არ მოვყვები ამერიკაზე როგორც მხოლოდ ქვეყანაზე, არამედ მოვყვები პროცესებზე, რომელიც ჩვენ იქ ვნახეთ.

დასასრულს საგანმანათლებლო ლიდერი მორის დანდურიშვილი აღნიშნავს, რომ მისი მოლოდინი ამერიკის შეერთებული შტატების და ზოგადად IVLP პროგრამის მიმართ, სრულად გამართლდა. მას არ ჰქონდა მოლოდინი, რომ პროცესი იქნებოდა ისეთი ინკლუზიური და ინდივიდიუალურად მის, როგორც ლიდერის საჭიროებაზე მორგებული, როგორიც პრაქტიკულად აღმოჩნდა.

თეა ახალკაცი

სამუშაო შეხვედრა საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებით

(დასასრული)

მასშტაბით, 2025 წლის ბოლოს დასრულდება.

სახელმწიფოს მიერ აშენებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურით და შემუშავებული მოდელით სარგებელს მიიღებს როგორც მოსახლეობა, ასევე კერძო სექტორი - ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება საშუალებას მისცემს განსაკუთრებით მცირე და საშუალო ტელეკომ-ოპერატორებს, ფართოზოლოვანი მომსახურება გაუწიონ მოსახლეობას იქ, სადაც ამ დრომდე ამგვარი მომსახურება არ ყოფილა ხელმისაწვდომი ან გაუმჯობესონ არსებული მომსახურების ხარისხი იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც იგი მოსახლეობას დაბალი ხარისხით ან შეზღუდულად მიეწოდება, რაც ხელს შეუწყობს სფეროში კონკურენციის განვითარებასა და კერძო ინვესტიციების მოზიდვას.

ასევე, იქმნება შესაძლებლობა, რომ მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდეს ისეთი პროგრამები და სერვისები, როგორებიცაა: ელექტრონული ჯანდაცვა, ელექტრონული განათლება, ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული კომერცია და სხვა თანამედროვე სერვისები - იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც აქამდე მსგავსი მომსახურება არ ყოფილა.

პროგრამის სამიზნე არეალები:

სამიზნე არეალები განისაზღვრება კომუნიკაციების კომისიის მიერ შემუშავებული ე.წ. თეთრი ზონების და საქართველოს მთავრობის #375 დადგენილებით განსაზღვრული შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად: ა) მოსახლეობის რაოდენობა (200 და მეტი); ბ) აღნიშნულ დასახლებულ პუნქტებში კომერციულ ოპერატორებს არ აქვთ უწყვეტი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა და გ) არ გეგმავენ ასეთის მშენებლობას მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

ამავე დადგენილების მიხედვით, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ოპტიკურ-ბოჭკოვან ინფრასტრუქტურაზე, თუკი იგი გაივლის თეთრი ზონის ისეთ დასახლებულ პუნქტ(ებ)ში, სადაც მოსახლეობა ნაკლებია 200-ზე, მაგრამ არანაკლებია 100-ისა, ასეთ დასახლებულ პუნქტებში უზრუნველყოფილი იქნება დაშვების წერტილების მოწყობა და ოპტიკური ძარღვ(ებ)ის სარგებლობაში გაცემა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ კერძო სექტორის მხრიდან იქნება მოთხოვნა, ოუფენ ნეტი უზრუნველყოფს მისთვის სერვისების მიწოდებას.

მოსახლეობის ქსელში ჩართვა :

სახელმწიფო პროგრამა ხელს უწყობს კერძო სატელეკომუნიკაციო ოპერატორებს, განავითარონ საკუთარი ბიზნესი, - ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის დასრულების შემდეგ, „ოუფენ ნეტი“ არ აწვდის მოსახლეობას ინტერნეტ-მომსახურებას, არამედ, ნებისმიერ ავტორიზებულ ტელეკომ-ოპერატორს აძლევს შესაძლებლობას, ისარგებლოს მაგისტრალზე ღია დაშვების მომსახურებით და მივიდეს საბოლოო მომხმარებლამდე.

.....

პროექტი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კომუნიკაციების კომისიის ჩართულობით მიმდინარეობს, ხოლო ფინანსური მხარდამჭერები არიან: მსოფლიო ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკი.

2025 წლის ბოლოსთვის, პროექტ Log in Georgia -ს ფარგლებში, ოპტიკური ქსელით დაიფარება 1000-მდე დასახლებული პუნქტი, მათ შორის, მაღალმთიანი სოფლები, რომლითაც სარგებელს მიიღებს, 500,000-მდე ადამიანი.

კოდისწყაროს ტბის მიდამოები ახლადაგებულმა ულამაზესმა ტაძარმა კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა. არჩილ სუთიაშვილის ფოტო

ხაშურის მუნიციპალიტეტმა ბათუმში რიგით მე-15 ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა

გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს ხაშურის მუნიციპალიტეტებში მომუშავე მეწარმეებმა.

დამთვალიერებელს ადგილზე შეეძლო ენახა თონეში პურისა და ნაზუქის ცხობის მასტერკლასი.

გამოფენის ძირითად მიზანს საქართველოს რეგიონებში ტურიზმის ხელშეწყობა და ტურისტული ადგილების ცნობადობის გაზრდა წარმოადგენდა. ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენა კომპანია ,,Expo Batumi"-ის ორგანიზებით გაიმართა.

ხაშურელი მეწარმეების მონაწილეობა გამოფენაში მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.